




თიბისი დაზღვევა



# ავტომობილის დაზღვევის პირობები

#MO-E-003/20

## სარჩევი

ტერმინთა განმარტება .....	3
1. სადაზღვევო დაფარვა/სექციები .....	7
2. სექცია A - ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევა .....	8
3. სექცია B - მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა .....	13
4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები .....	16
5. თქვენი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას .....	18
6. ჩვენი უფლებამოსილებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას .....	19
7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია .....	20
8. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადები და წესი .....	22
9. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების წესი .....	23
10. საერთო გამონაკლისები დაზღვევის ყველა სექციისთვის .....	23
11. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი .....	27
12. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და გადაუხდელობით გამოწვეული შედეგები ..	27
13. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში .....	28
14. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი.....	29
15. რეგრესი/სუბროგაცია.....	30
16. ორმაგი დაზღვევა.....	31
17. შეტყობინებები და კომუნიკაცია.....	31
18. დავათა გადაწყვეტა .....	31
19. კონფიდენციალობა.....	32
20. პერსონალური მონაცემების დამუშავება.....	32



სადაზღვევო დაფარვები



მნიშვნელოვანი ინფორმაცია



გამონაკლისები

## ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

### მზღვეველი

სს „თიბისი დაზღვევა“, ჩვენ.

### დამზღვევი

იურიდიული / ფიზიკური პირი, რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდაზე, თქვენ.

### მოსარგებლა

დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური / იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება, წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე.

### უფლებამოსილი მძღოლი

ნებისმიერი პირ(ებ)ი, რომელიც არის არანაკლებ 21 წლის და ფლობს შესაბამისი კატეგორიის ავტოტრანსპორტის მოქმედ მართვის მოწმობას, სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული სადაზღვევო პოლისში.

### მესამე პირი

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა დამზღვევის, მოსარგებლის, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრის, მათი ოჯახის წევრ(ებ)ისა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლისა და მგზავრ(ებ)ისა.

### ოჯახის წევრი

დამზღვევის, მოსარგებლის, მესაკუთრის ან უფლებამოსილი მძღოლის მეუღლე, შვილები, გერეები ან/და მშობლები (დედობილის და მამობილის ჩათვლით).

### იდენტიფიცირებადი მესამე პირი

ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის მიზნებისთვის, იდენტიფიცირებულ მესამე პირად ჩაითვლება პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტაციაში.

### დაზღვევის ხელშეკრულება

წინამდებარე დაზღვევის პირობების, გაცემული პოლისის, მათი დანართ(ებ)ის და განაცხად(ებ)ის (დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მოწოდებული ინფორმაცია) ერთობლიობა.

### სადაზღვევო პოლისი

მზღვეველის მიერ გაცემული, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია სადაზღვევო დაფარვის დეტალები.

სადაზღვევო პოლისში მითითებულ და წინამდებარე დაზღვევის პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.

**სადაზღვევო პერიოდი**

სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია.

**სადაზღვევო პრემია**

დაზღვევის საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

**დაზღვეული რისკი**

სადაზღვევო პოლისში მითითებული გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომლის ხდომილებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება ან/და განადგურება ან მესამე პირ(ებ)ის წინაშე პასუხისმგებლობის წარმოქმნა.

**სადაზღვევო შემთხვევა**

დაზღვეული რისკ(ებ)ით გამოწვეული შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობების შესაბამისად.

**სადაზღვევო ანაზღაურება**

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მზღვეველის მიერ გასაცემი ფულადი ანაზღაურება.

**ანაზღაურების ჯამური ლიმიტი**

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა.

ანაზღაურების ჯამური ლიმიტი თითოეული სექციისთვის განისაზღვრება ცალ-ცალკე და მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

**ანაზღაურების ქვალიმიტი**

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა კონკრეტული დაზღვეული რისკისთვის.

ანაზღაურების ქველიმიტი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

**დაზღვევის ტერიტორია**

სადაზღვევო პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს დაზღვევა.

**დაზღვეული ავტოტრანსპორტი**

სადაზღვევო პოლისში მითითებული ავტოტრანსპორტი.

**პირადი დანიშნულების ავტოტრანსპორტი**

ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტი, რომელიც არ გამოიყენება კომერციული საქმიანობისთვის.

**კომერციული საქმიანობა**

კომერციული საქმიანობა მოიცავს მგზავრების გადაყვანას ანაზღაურების სანაცვლოდ, გაქირავებას, ტვირთის გადაზიდვას, კურიერულ საქმიანობას, თანამშრომლების მომსახურებას ავტომობილით, ადმინისტრაციულ, ლოჯისტიკურ საქმიანობას და სხვა კომერციულ საქმიანობას.

**ავტოსაგზაო შემთხვევა**

სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისას, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა ან სხვა ქონება, დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი.

**სტიქიური მოვლენები**

წყალდიდობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა და მეხის დაცემა.

**ვანდალიზმი**

დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება ან განადგურება მესამე პირ(ებ)ის მიერ, რასთან დაკავშირებითაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**ტექნიკური გაუმართაობა**

დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისა და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი მდგომარეობა ან/და მისი ნებისმიერი სისტემის, მათ შორის ელექტრო სადენების ან/და მოწყობილობების, მუხრუჭების, უსაფრთხოების ბალიშების, გაზის აპარატურის ან/და სისტემის, წვის სისტემის, სავალი ნაწილის და ძირითადი კვანძების (ძრავი, გადაცემათა კოლოფი, გადაბმულობა) გაუმართაობა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს დაზღვეული რისკის დადგომას.

**ავტოტრანსპორტის ძარა**

ავტოტრანსპორტის ძარა და მასზე ქარხნულად დამონტაჟებული დეტალები, სარკეების, მოწყობილობებისა და იმ აქსესუარების ჩათვლით, რომლებიც მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

**არაქარხნული დეტალი**

ავტოტრანსპორტის ნებისმიერი ნაწილი, დეტალი თუ აქსესუარი, რომელიც არ ფიქსირდება ავტომობილის კომპლექტაციაში VIN კოდის/შასის ნომრის შესაბამისად, მათ შორის სანომრე ნიშნები.

**საბაზრო ღირებულება**

დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან/და მისი ცალკეული ნაწილების იდენტური მახასიათებლების მქონე ნივთის ღირებულება საქართველოს ბაზარზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

**აღდგენის ღირებულება**

სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღსადგენად საჭირო სამუშაოების, აუცილებელი მასალებისა და სათადარიგო ნაწილების საბაზრო ღირებულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

**ფრანშიზა**

სადაზღვევო პოლისში მითითებული თანხა, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას და რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურების თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

**სრული ზიანი/განადგურება**

შემთხვევა, როდესაც დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, შეადგენს ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს.

**ნაწილობრივი დაზიანება**

შემთხვევა, როდესაც დაზიანებული ავტოტრანსპორტის აღდგენის ღირებულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის, ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების 70%-ზე.

**ნარჩენი ღირებულება**

ავტოტრანსპორტის ღირებულება საქართველოს ბაზარზე მისი სრული ზიანის / განადგურების შემდეგ.

**გამომუშავებალი პრემია**

კონკრეტული თარიღიდან სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემია. პრემიის გამომუშავება ხდება ყოველდღიურად.

**პრიორიტეტული მისამართი/ტელეფონის ნომერი**

დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლოს მიწოდებული ფაქტობრივი მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი, რომელიც გამოყენებული იქნება დამზღვევთან შეტყობინების მიწოდებისა და კომუნიკაციისთვის, მათ შორის ზარალის დარეგულირების მიზნით.



## 1. სადაზღვევო დაფარვა/საქციები

- 1.1. წინამდებარე დაზღვევის პირობები მოიცავს შემდეგ სადაზღვევო დაფარვა/საქციებს:
  - საქცია A:** დაზღვეული ავტოტრანსპორტის ძარის დაზიანება ან განადგურება დაზღვეული რისკების შედეგად;
  - საქცია B:** მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.
- 1.2. თქვენ მიერ შერჩეული სადაზღვევო დაფარვა და დაზღვეული რისკები მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 1.3. მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საქციით, ჩვენ ავანაზღაურებთ უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის შედეგად დამდგარ ზარალს.

**ავტომობილი**

თუ შენი ბრალი  
სულაც არაა







## 2. სექცია A - ავტობრანსპორტის ძარის დაზღვევა

### 2.1. დაზღვეული რისკები

- 2.1.1. ავტობრანსპორტის ძარის დაზღვევის სექციით, ჩვენ ავანაზღაურებთ ავტობრანსპორტის ძარის დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეულ ზარალს, რომელიც დადგა სადაზღვევო პერიოდში და გამოწვეულია შემდეგი დაზღვეული რისკებით:
- იდენტიფიცირებული მესამე პირ(ებ)ის მიერ გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევა;
  - ხანძარი, აფეთქება, საგნის დაცემა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან მათი მცდელობა, ვანდალიზმი;
  - სტიქიური მოვლენები;
  - ავტობრანსპორტის საქარე მინის ისეთი დაზიანება, როდესაც ზიანდება მხოლოდ საქარე მინა, დაზღვეული ავტობრანსპორტის სხვა დეტალ(ებ)ის დაზიანების გარეშე.

### 2.2. სადაზღვევო ანაზღაურება და მისი გამოთვლის წესი

#### 2.2.1. ავტობრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:

- 2.2.1.1. ჩვენ ავანაზღაურებთ დაზიანებული ავტობრანსპორტის აღდგენის ღირებულებას, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზისა და თქვენ მიერ ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიღებულ კომპენსაციისა და ფრანშიზის თანხას შორის სხვაობის გამოკლებით.

#### მაგალითი

ავტომობილის დაზიანებული ნაწილების აღდგენის ღირებულება შეადგენს 6,700 ლარს. ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეულმა მხარემ კომპენსაციის სახით გადაგიხადათ 500 ლარი. ფრანშიზა პოლისით შეადგენს 50 ლარს.

ჩვენ მიერ გადასახდელი ანაზღაურება:  $6,700 - (500 - 50) - 50 = 6,200$  ლარი.

- 2.2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა აჭარბებს ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ანაზღაურების ჯამური ლიმიტის 40%-ს, სადაზღვევო ანაზღაურების თანხას ასევე გამოაკლდება ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

#### მაგალითი

ავტომობილის დაზიანებული ნაწილების აღდგენის ღირებულება შეადგენს 6,700 ლარს. ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეულმა მხარემ კომპენსაციის სახით გადაგიხადათ 500 ლარი.

დაზღვევა გაფორმებულია 10,000 ლარიანი ჯამური ლიმიტით, ფრანშიზა პოლისით არის ნულოვანი, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის გადაუხდელი პრემია შეადგენს 200 ლარს. ვინაიდან ჩვენ მიერ გადასახდელი ანაზღაურება (6,200 ლარი) ჯამური ლიმიტის 40%-ზე მეტია, ასანაზღაურებელ თანხას ასევე გამოაკლდება გადაუხდელი პრემია.

ჩვენ მიერ გადასახდელი ანაზღაურება:  $6,700 - 500 - 200 = 6,000$  ლარი.



2.2.1.3. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საქარე მინა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა დეტალების დაზიანების გარეშე, ჩვენ ავანაზღაურებთ საქარე მინის აღდგენის ან ჩანაცვლების ღირებულებას, საქარე მინის დაზიანებაზე სადაზღვევო პოლისში განსაზღვრული ანაზღაურების ქველიმიტის ფარგლებში.

**მაგალითი**

საქარე მინა დაზიანა ასხლეტილმა კენჭმა. დაზიანდა მხოლოდ საქარე მინა. საქარე მინის აღდგენის/ჩანაცვლების ღირებულება შეადგენს 1,200 ლარს. საქარე მინის დაზიანებაზე პოლისით განსაზღვრული ქველიმიტი შეადგენს 1,000 ლარს, შესაბამისად ჩვენ ავანაზღაურებთ მხოლოდ 1,000 ლარს.

2.2.1.4. ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, თქვენ ვალდებული ხართ, ჩვენი მოთხოვნის შემთხვევაში, გადმოგვცეთ საკუთრების უფლება შეცვლილ ნაწილებზე.

**2.2.2. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურებისას:**

2.2.2.1. ჩვენ ავანაზღაურებთ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებას, სადაზღვევო პოლისში მითითებული ფრანშიზის, თქვენ მიერ ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიღებულ კომპენსაციასა და ფრანშიზის თანხას შორის სხვაობის, სადაზღვევო პერიოდში ანაზღაურებული ზარალ(ებ)ის, ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილისა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

**მაგალითი**

სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი შეადგენს 10,000 ლარი, ხოლო პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზა არის ნულოვანი, ჩვენს მიერ პირველ ზარალზე ანაზღაურებული იყო 500 ლარი. თქვენს მიერ გადაუხდელი პრემია კი შეადგენს 200 ლარს.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა ავტომობილი, რომლის საბაზრო ღირებულება დაზიანების მომენტისთვის არის 20 000 ლარი. დაზიანებული ავტომობილის აღდგენის ღირებულებამ შეადგინა 15,000 ლარი, ხოლო დაზიანებული ავტომობილის ნარჩენმა ღირებულებამ - 2,000 ლარი. ვინაიდან აღდგენის თანხა აღემატება საბაზრო ღირებულების 70%-ს, ავტომობილი ჩაითვლება განადგურებულად/სრული ზიანი. აქედან გამომდინარე, ზარალის მოცულობა შეადგენს 18,000 ლარს (20,000 - 2,000 = 18,000).

ანაზღაურების ჯამური ლიმიტის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 10,000 ლარს, თუმცა გადაუხდელი პრემიისა და მანამდე ანაზღაურებული ზარალის გათვალისწინებით, საბოლოოდ ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება 9,300 ლარით (10,000 -200 - 500 = 9,300).

2.2.2.2. თუ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას არ გამოაკლდება განადგურებული ავტოტრანსპორტის ნარჩენი ღირებულება, თქვენ ვალდებული ხართ გადმოგვცეთ საკუთრების უფლება დაზიანებულ დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე. გადაწყვეტილებას ნარჩენი ღირებულების სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლების თაობაზე ვიღებთ ჩვენ.

2.2.2.3. სრულად დაზიანებულ/განადგურებულ დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების ჩვენზე გადმოცემისას, დაზღვეული ავტოტრანსპორტის

მფლობელობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გადაუხდელი ადმინისტრაციული ჯარიმ(ებ)ის, საურავ(ებ)ისა და ხარჯ(ებ)ის არსებობისას, ამგვარი გადაუხდელი ადმინისტრაციული ჯარიმ(ებ)ი, საურავ(ებ)ი და ხარჯ(ებ)ი გამოაკლდება სადაზღვევო ანაზღაურების თანხას.

**2.2.3. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურებისას ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის შედეგად:**

- 2.2.3.1. თუ დაზღვეულ ავტოტრანსპორტს იპოვიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გაცემულ ცნობაში მითითებული სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, თქვენ/მოსარგებლეს არ შეგიძლიათ მასზე უარის გაცხადება. თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის პოვნის მომენტისთვის, ჩვენ ანაზღაურებული გვექნება ზარალი, თქვენ/მოსარგებლე ვალდებული ხართ დაგვიბრუნოთ ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გადახდილი თანხა, დაზღვეული ავტოტრანსპორტის პოვნის თარიღიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. დასაბრუნებელი თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება ჩვენ მიერ, ნაპოვნი დაზღვეული ავტოტრანსპორტის ღირებულების ან/და დაზიანებების არსებობის შემთხვევაში, დაზიანებების შესაკეთებლად საჭირო ხარჯების გათვალისწინებით.
- 2.2.3.2. თუ დაზღვეულ ავტოტრანსპორტს იპოვიან და ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ გაცემულ ცნობაში დაფიქსირებული, სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების თარიღად გასულია 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი, საკუთრების უფლება დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე გადმოდის ჩვენზე.

**2.3. ზარალის შეფასება**

- 2.3.1. ზარალის შეფასება მოხდება ჩვენ მიერ შერჩეული ავტო სერვის ცენტრ(ებ)ის მიერ, მეორადი ნაწილების ღირებულებაზე დაყრდნობით.
- 2.3.2. დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის თქვენ მიერ შერჩეული ავტო სერვის ცენტრის მიერ შეფასების შემთხვევაში, თქვენ და ჩვენ მიერ შერჩეული ავტო სერვის ცენტრების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში სხვაობის მიუხედავად, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას სადაზღვევო ანაზღაურება გავცეთ ჩვენ მიერ შერჩეული ავტო სერვის ცენტრის მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
- 2.3.3. ზარალის ოდენობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების მიერ. ექსპერტიზასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს ექსპერტიზის დანიშვნის ინიციატორი მხარე, ხოლო თუ ექსპერტიზის დანიშვნა ხდება ორივე მხარის ინიციატივით, საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი თანაბრად გადანაწილდება ჩვენ შორის.

**2.4. ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა**

- 2.4.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ამ სექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტით.
- 2.4.2. სრული დაზიანება/განადგურების შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება:
  - ნაკლებია ანაზღაურების ჯამურ ლიმიტზე, ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის;
  - აღემატება ანაზღაურების ჯამურ ლიმიტს, ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ანაზღაურების ჯამური ლიმიტით.
  - თუ დაზიანებულია მხოლოდ საქარე მინა და დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებს დაზიანება არ აღენიშნება, ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება საქარე მინის დაზიანებისთვის პოლისში განსაზღვრული ანაზღაურების ქველიმიტით.
- 2.4.3. ანაზღაურების ჯამური ლიმიტი/ანაზღაურების ქველიმიტი შემცირდება ჩვენ მიერ ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით.



**2.5 გამონაკლისები ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის სექციისთვის**

**2.5.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება:**

- 2.5.1.1. ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული ზარალი, თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალეული მხარე:
  - ხართ თქვენ ან ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლი; ან
  - ხართ თქვენ და ნებისმიერი მესამე პირ(ები) (შერეული ბრალი); ან
  - არ არის იდენტიფიცირებული.
- 2.5.1.2. ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელზეც არ არსებობს საკატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჭარიმო ქვითარი.
- 2.5.1.3. ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა ან/და გასაღები დატოვებული იყო დაზღვეულ ავტოტრანსპორტში.
- 2.5.1.4. ქურდობით გამოწვეული ზარალი, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი დატოვებული იყო ღია მდგომარეობაში (არ იყო ჩაკეტილი), ჩაწეული იყო მინები ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასაღები გადაცემული იყო არაუფლებამოსილი მძღოლისთვის.

- 2.5.1.5. დაზღვეული ავტოტრანსპორტის კატალიზატორის ქურდობა, ძარცვა.
- 2.5.1.6. ამორტიზაციით, ცვეთით, კოროზიით, ჟანგვით გამოწვეული ზარალი.
- 2.5.1.7. დაზღვეული რისკების გარდა ნებისმიერი სხვა მიზეზით გამოწვეული ზარალი.
- 2.5.1.8. დაზღვეულ ავტოტრანსპორტში ან/და დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე დამონტაჟებული არაქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების (მათ შორის ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის) დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- 2.5.1.9. დაზღვეული ავტოტრანსპორტის დასაკეცი/მოხსნადი სახურავის (მათ შორის ტენტი) ან/და მისი მექანიზმის დაზიანებით ან განადგურებით გამოწვეული ზარალი.
- 2.5.1.10. დაზღვეული ავტოტრანსპორტის სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვით ან დაზიანებით გამოწვეული ზარალი.
- 2.5.1.11. სახურავის დაზიანებით გამოწვეული ზარალი, თუ მასთან ერთად არ მომხდარა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილების დაზიანება.
- 2.5.1.12. დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირის მიერ მიყენებული ზიანი.
- 2.5.1.13. დაზღვეული ავტოტრანსპორტის იმ ნაწილების შეკეთების, ჩანაცვლების ან/და აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება.
- 2.5.1.14. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.





### 3. საქცია B - მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

#### 3.1. სადაზღვევო ანაზღაურება და მისი გამოთვლის წესი

3.1.1. მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის შემთხვევაში, დაზღვევის ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ჩვენ ავანაზღაურებთ:

- მესამე პირ(ებ)ისათვის გადასახდელ კომპენსაციას, რომელიც დაეკისრა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრეს/უფლებამოსილ მძღოლს, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან/და თქვენ აღიარეთ სასარჩელო მოთხოვნა.
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მესამე პირ(ებ)ისათვის გადასახდელ კომპენსაციას, თუ მისი გადახდა და გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა წინასწარ წერილობით იქნება ჩვენთან შეთანხმებული და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- ჩვენთან წერილობით წინასწარ შეთანხმებულ სასამართლო ან/და სასამართლოს გარეშე ხარჯებს, ასევე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დასადგენად გაღებულ ხარჯებს, დაზღვევის ამ სექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის 20%-ის ფარგლებში.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის სიცოცხლის ან/და ქონების გადასარჩენად, ან ქონებრივი ზიანის შესამცირებლად გაწეულ გონივრულ ხარჯებს.

3.1.2. მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების ან მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, დაზღვევის ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ჩვენ ავანაზღაურებთ:

3.1.2.1. მესამე პირ(ებ)ისათვის გაწეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს, რომელიც დასტურდება შესაბამისი ფინანსური და სამედიცინო დოკუმენტებით.

- მესამე პირ(ებ)ის შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში, მესამე პირის მიერ დაკარგულ, დოკუმენტურად დადასტურებულ შემოსავალს, მაგრამ არაუმეტეს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ჯამური შემოსავლისა.
- დამატებით ხარჯებს, რომელიც გამოწვეულია მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯებს, დაზღვევის ამ ექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის 20%-ის ფარგლებში, თუ აღნიშნული დამატებითი ხარჯების დაფარვა არ ხდება სახელმწიფო, სამედიცინო თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ.



- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავლის იმ ნაწილს, რომელსაც მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ მის კმაყოფაზე მყოფი შრომისუნარო პირ(ები), ან პირ(ები), რომლებსაც ჰქონდათ უფლება მიეღოთ მისგან სარჩო რეგულარული გადახდის სახით, მაგრამ არაუმეტეს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ჯამური შემოსავლისა.

3.1.3. მესამე პირ(ებ)ის ქონებისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, დაზღვევის ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტის ფარგლებში, ჩვენ ავანაზღაურებთ:

- ქონების განადგურებისას, იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ქონება არ ექვემდებარება ანაზღაურებას, განადგურებული ქონების საბაზრო ან აღდგენის ღირებულებას, ქონების ნარჩენი ღირებულების გამოქვითვით.
- იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ქონება ექვემდებარება აღდგენას, დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების/აღდგენის ხარჯებს.

### 3.2. ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა

3.2.1. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ ასანაზღაურებელი თანხის ჯამური ოდენობა შემოიფარგლება ამ სექციისთვის სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტით.

3.2.2. ერთი შემთხვევის შედეგად ერთზე მეტი მესამე პირის დაზიანების შემთხვევაში, შემთხვევა განიხილება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. თუ ასეთ შემთხვევაში თქვენზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობამ გადააჭარბა სადაზღვევო პოლისში ამ სექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამურ ლიმიტს, კომპენსაცია თითოეულ დაზარალებულ მესამე პირზე განაწილდება პროპორციულად, ზარალის ჯამურ თანხაში მათი ზარალის წილის შესაბამისად, თუ თქვენ და ჩვენ სხვაგვარად არ შევთანხმდებით.

#### მაგალითი

თქვენ შექენილი გაქვთ პასუხისმგებლობის ლიმიტი 20,000 ლარის ოდენობით. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა 3 ადამიანი. ბრალეულ მხარედ სასამართლომ გცნოთ თქვენ და დაგაკისრათ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, ჯამში 25,000 ლარი, შემდეგი ოდენობებით:

- პირველი დაზარალებულისთვის - 12,000 ლარი;
- მეორე დაზარალებულისთვის - 10,000;
- მესამე დაზარალებულისთვის - 3,000 ლარი.

თითოეული დაზარალებულის წილი ჯამურ კომპენსაციაში შეადგენს:

- პირველი დაზარალებული - 48%  $(12,000 / 25,000 \times 100)$ ;
- მეორე დაზარალებული - 40%  $(10,000 / 25,000 \times 100)$ ;
- მესამე დაზარალებული - 12%  $(3,000 / 25,000 \times 100)$ .

ჩვენ გამოვიყენებთ იგივე პროპორციას თქვენ მიერ შექენილ პასუხისმგებლობის ლიმიტთან მიმართებაში, შესაბამისად, პირველ დაზარალებულს გადავუხდით 9,600 ლარს, მეორე დაზარალებულს - 8,000 ლარს, მესამე დაზარალებულს - 2,400 ლარს.

ჩვენ მიერ გადასახდელი ანაზღაურება:  
 $20,000 \times 48\% + 20,000 \times 40\% + 20,000 \times 12\% = 9,600 + 8,000 + 2,600 = 20,000$  ლარი.

3.2.3. დაზღვევის ამ სექციისთვის განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი შემცირდება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ ყოველ ჯერზე ანაზღაურებული თანხ(ებ)ის ოდენობით.




### 3.3. გამონაკლისები მესამე პირ(ებ)ის წინაშე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სექციისთვის

#### 3.3.1. ანაზღაურებას არ ექვემდებარება:

- 3.3.1.1. შემთხვევა, როდესაც დაზარალებულ პირს წარმოადგენთ თქვენ, მოსარგებლე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრე, მათი ან თქვენი ოჯახის წევრ(ებ)ი ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლი ან/და მგზავრები.
- 3.3.1.2. ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, მესამე პირ(ებ)ის წინაშე აღიარებული პასუხისმგებლობა ან/და გაწეული ხარჯები.
- 3.3.1.3. მესამე პირ(ებ)ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან/და გარდაცვალება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.
- 3.3.1.4. წმინდა ფინანსური ზარალი, როდესაც არ იკვეთება მესამე პირ(ებ)ის ქონების ან/და ჯანმრთელობის დაზიანება ან/და განადგურება.
- 3.3.1.5. სადაზღვევო პოლისში მითითებული დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მომხდარი შემთხვევები.
- 3.3.1.6. საერთო გამონაკლისებში ჩამოთვლილი შემთხვევებით გამოწვეული ზარალი.

80-ს არ ვაძილებ





## ზოგადი პირობები დაზღვევის ყველა საქციისთვის



### 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

#### 4.1. თქვენ ვალდებული ხართ:

- 4.1.1. როგორც დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას, ასევე მთლიანი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოთ ჩვენთვის ყველა იმ აუცილებელი ინფორმაციის მოწოდება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჩვენ მიერ სადაზღვევო რისკის შეფასებაზე.
- 4.1.2. დაუყოვნებლივ, წერილობით შეგვატყობინოთ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემდეგი გარემოებების (ავტოტრანსპორტის გასხვისება, ავტოტრანსპორტის დატვირთვა მესამე პირის სასარგებლოდ ან/და დაყადაღება, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ცვლილების შესახებ.
- 4.1.3. მოსარგებლეს და ყველა უფლებამოსილ მძღოლს გააცნოთ წინამდებარე დაზღვევის პირობები.
- 4.1.4. დროულად და სრულად გადაიხადოთ სადაზღვევო პრემია სადაზღვევო პოლისში მითითებული წესითა და ოდენობით.
- 4.1.5. დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასაღების/სიგნალიზაციის პულტის დაკარგვის შესახებ.
- 4.1.6. სადაზღვევო პერიოდში შეინახოთ დაზღვეული ავტოტრანსპორტი ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში.
- 4.1.7. მოგვცეთ ჩვენ ან ჩვენს უფლებამოსილ წარმომადგენელს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დათვალიერებისა და ფოტოების გადაღების საშუალება, ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე ან/და ნებისმიერ დროს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.
- 4.1.8. დაზღვეული ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოთ იგი და ჩართოთ სიგნალიზაცია (არსებობის შემთხვევაში).
- 4.1.9. მიიღოთ ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად.
- 4.1.10. დაუყოვნებლივ შეგვატყობინოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების, გზავნილის, გაცხადებული ან შესაძლო/პოტენციური პრეტენზიის შესახებ.
- 4.1.11. დაუყოვნებლივ გვაცნობოთ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენ წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის ან/და სამართლებრივი პროცედურის შესახებ.



- 4.1.12. არ აიღოთ საკუთარ თავზე სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ჩვენთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.
- 4.1.13. მოგვაწოდოთ ოფიციალური ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია ჩვენ მიერ ზარალის დარეგულირებისათვის.
- 4.1.14. არ დატოვოთ დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში.
- 4.1.15. ჩვენი ინსტრუქციის (ზეპირი ან წერილობითი) შესაბამისად, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა ინსტრუქციის მიღებიდან, გადაიყვანოთ დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი ჩვენ მიერ მითითებულ შემკეთებელ ავტო სერვის ცენტრში.
- 4.1.16. არ დაიწყოთ დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის შეკეთება ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
- 4.1.17. სრულად დაზიანებულ/განადგურებულ დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების ჩვენზე გადმოცემის შემთხვევაში, უზრუნველყოთ დაზღვეული ავტოტრანსპორტის მფლობელობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული ჯარიმის, საურავისა და ხარჯის დაფარვა.
- 4.1.18. უზრუნველყოთ მოსარგებლის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ხელმოწერა, ასანაზღაურებელ თანხაზე შეთანხმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- 4.1.19. ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, უზრუნველყოთ შეკეთებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის ხელახალი დასურათება ჩვენ ან ჩვენი წარმომადგენლის მიერ.
- 4.1.20. წერილობით შეგვატყობინოთ ჩვენთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას მოწოდებული მისამართის (რეგისტრაციის ან/და ფაქტობრივი) ან/და მობილურის ნომრის ცვლილების შესახებ.

**4.2. ჩვენ ვალდებული ვართ:**

- 4.2.1. გადმოგცეთ თქვენ დაზღვევის ხელშეკრულების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი (სადაზღვევო პოლისი).

**4.3. თქვენ უფლებამოსილი ხართ:**

- 4.3.1. მოითხოვოთ ჩვენგან განხორციელებული დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (სადაზღვევო პოლისი).

4.3.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების, მესამე პირის სასარგებლოდ დატვირთვის ან/და დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან წინამდებარე დაზღვევის პირობების ცვლილებისას, უარი განაცხადოთ შეცვლილ პირობებზე და შეწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულება.

**4.4. მოსარგებლე უფლებამოსილია:**

4.4.1. მოითხოვოს ჩვენგან სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე დაზღვევის პირობებით და სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

**4.5. ჩვენ უფლებამოსილი ვართ:**

- 4.5.1. დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების, მესამე პირის სასარგებლოდ დატვირთვის ან/და დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, შემოგთავაზოთ ახალი დაზღვევის ხელშეკრულების დადება შეცვლილი პირობებით.
- 4.5.2. ცალმხრივად შევწყვიტოთ დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება თქვენთვის წერილობით შეტყობინების გზით, თუ გამოვლინდება, რომ თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანია.
- 4.5.3. საჭიროებისას, მოვითხოვოთ თქვენგან თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ორიგინალები.
- 4.5.4. მესამე პირ(ებ)ისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მოვითხოვოთ თქვენგან მესამე პირ(ებ)ისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება.
- 4.5.5. სრული კონტროლი განვახრციელოთ თქვენს მიმართ მესამე პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო, კანონით გათვალისწინებული, ყველა პროცედურის წარმართვაზე.
- 4.5.6. ცალმხრივად შევითანოთ ცვლილება წინამდებარე დაზღვევის პირობებში თქვენთვის შეტყობინების გამოგზავნის გარეშე, თუ ამგვარი ცვლილება აუმჯობესებს თქვენს მდგომარეობას ან/და ჩვენ მიერ თქვენთვის მომსახურების მოწოდების პირობებს.



**5. თქვენი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას**

5.1. ჩვენ უფლებამოსილი ვართ არ ავანაზღაუროთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალი თქვენ მიერ ამ მუხლში განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**5.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, თქვენ ვალდებული ხართ:**

- 5.2.1. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზზე (2 42 22 22) და მოგვაწოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ. თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება ან/და განადგურება გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით, ჩვენთან დაკავშირება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა სტიქიის დადგომიდან.
- 5.2.2. დაუყოვნებლივ გამოიძახოთ საპატრულო პოლიცია (112). საპატრულო პოლიციის გამოძახება არ არის სავალდებულო, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის მხოლოდ საქარე მინა ან სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია სტიქიური მოვლენით.
- 5.2.3. არ გადაადგილოთ დაზღვეული ავტოტრანსპორტი და არ მიატოვოთ შემთხვევის ადგილი საპატრულო პოლიციის და ჩვენი წარმომადგენლის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადაადგილება ან/და თქვენ მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება შეთანხმებულია ჩვენთან ან მოითხოვება საპატრულო პოლიციის მიერ.



**6. ჩვენი უფლებამოსილებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას**

6.1. თქვენ მიერ ამ მუხლში მოყვანილი, ჩვენი უფლებამოსილებების განხორციელების ხელის შეშლის შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალის ანაზღაურებაზე.

**6.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ჩვენ უფლებამოსილი ვართ:**

- 6.2.1. დავათვალიეროთ და დავასურათოთ დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი.
- 6.2.2. დავათვალიეროთ და დავასურათოთ მესამე პირ(ებ)ის დაზიანებული ან განადგურებული ქონება.
- 6.2.3. დავნიშნოთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა დაზღვეული ავტოტრანსპორტისთვის ან/და მესამე პირ(ებ)ის ქონებისთვის მიყენებული ზიანის გარემოებების დადგენისა დაზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით.
- 6.2.4. სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების მოკვლევისა და დადგენის მიზნით, მივმართოთ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და მოვიძიოთ მათგან საჭირო ინფორმაცია.
- 6.2.5. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, მოვითხოვოთ თქვენგან დამატებითი საბუთების წარმოდგენა.
- 6.2.6. მოვითხოვოთ თქვენგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ

- მივიჩნევთ ზიანის გამომწვევი მიზეზების ან/და ზარალის მოცულობის დასადგენად.
- 6.2.7. გადავავადოთ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.
- 6.2.8. შევადგინოთ დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან/და მესამე პირ(ებ)ის დაზიანებული ან განადგურებული ქონების შეკეთების ან/და აღდგენის ღირებულების ხარჯთაღრიცხვა.
- 6.2.9. მოვითხოვოთ თქვენგან საკუთრების უფლების ჩვენზე გადმოცემა:
- დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ და ჩვენ მიერ ჩანაცვლებულ ნაწილებზე.
  - დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული ზიანი/განადგურებისას და ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სრულად დაზიანებულ/განადგურებულ ავტოტრანსპორტზე.
  - დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობის შედეგად დაკარგულ დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე, თუ ჩვენ მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მოხდება მისი პოვნა.

**!** **7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

- 7.1. ჩვენ უფლებამოსილი ვართ არ ავანაზღაუროთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზარალი თქვენ მიერ ამ მუხლში განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.  
სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, თქვენ ვალდებული ხართ წარმოგვიდგინოთ:
- 7.1.1. წერილობითი განაცხადი ანაზღაურების მოთხოვნაზე, სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების აღწერით.
- 7.1.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ასლი, ხოლო დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურების შემთხვევაში, დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი.
- 7.1.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის მართვისა და პირადობის მოწმობები, ასევე მძღოლის ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის თაობაზე სამედიცინო შემოწმების ოქმი ან/და ალკოტესტით შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- 7.1.4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დამადასტურებელი დოკუმენტები კომპეტენტური ორგანოებიდან, შემდეგი დეტალების მითითებით: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, საგზაო შემთხვევის სქემა.
- 7.1.5. მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 7.1.6. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ მოთხოვნილი სხვა დამატებითი საბუთ(ებ)ი.

**7.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის გაცევისას, თქვენ ვალდებული ხართ დამატებით წარმოგიდგინოთ:**

- 7.2.1. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქარხნული გასაღებების კომპლექტი, სარეგისტრაციო მოწმობის ორიგინალი, სიგნალიზაციის მართვის პულტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 7.2.2. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების ასლი.
- 7.2.3. დაკარგულ დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე გაცემული ნებისმიერი მინდობილობის დედანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**7.3. მესამე პირ(ებ)ისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში:**

- 7.3.1. შეტყობინება დაზარალებული მესამე პირ(ებ)ის მიერ თქვენთვის პრეტენზიის წაყენების თაობაზე.
- 7.3.2. მესამე პირ(ებ)ის ქონების ან/და სიცოცხლისათვის ან/და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- 7.3.3. მესამე პირ(ებ)ის ქონების ან/და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია (დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან - გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამედიცინო ჩანაწერები (ფორმა N100) და გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნები, სპეციალისტთა კონსულტაციების, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების პასუხები/დასკვნები და ა.შ.).
- 7.3.4. მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი (ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი).
- 7.3.5. ქონების დაზიანების შემთხვევაში, დოკუმენტი რომელიც ადასტურებს მესამე პირ(ებ)ის საკუთრების უფლებას დაზიანებულ ქონებაზე.



**7.4. მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების შემთხვევაში:**

- 7.4.1. მესამე პირ(ებ)ის გარდაცვალების მოწმობა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების შესახებ.
- 7.4.2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარდაცვლილი მესამე პირ(ებ)ის მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას (სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში).
- 7.4.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენსა და დაზარალებულ მესამე პირ(ებ)ს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს თქვენს პასუხისმგებლობას მესამე პირ(ებ)ისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთან, ჩვენ ვთავისუფლებით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თქვენ, ჩვენთან წერილობითი შეთანხმების გარეშე, ცნობთ სარჩელს ან მის რომელიმე ნაწილს.

**8. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვადები და წესი**

- 8.1. გადაწყვეტილება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ მიიღება ჩვენ მიერ მოთხოვნილი საბუთების სრულყოფილად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**8.2. ჩვენ გავცემთ სადაზღვევო ანაზღაურებას:**

- 8.2.1. ჩვენთვის ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- 8.2.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის, ძარცვის ან/და ყაჩაღობის შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ იქნება აღმოჩენილი პოლიციაში გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ასეთი ვადის გასვლიდან და სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 8.2.3. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის შემკეთებელ ავტო სერვის ცენტრზე ან დაზღვეული ავტოტრანსპორტის მესაკუთრეზე (ან მის კანონიერ წარმომადგენელზე), ჩვენი გადაწყვეტილების შესაბამისად.
- 8.2.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურებისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეული ავტოტრანსპორტის კანონიერ მესაკუთრეზე ან მის კანონიერ წარმომადგენელზე. ამასთან, თუ ჩვენ გადავწყვიტეთ დავიტოვოთ



სრულად დაზიანებული/განადგურებული დაზღვეული ავტოტრანსპორტი, სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის წინაპირობას წარმოადგენს დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების ჩვენზე გადმოცემა.

8.2.5. სადაზღვეო ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

## 9. სადაზღვეო შემთხვევის დარეგულირების წესი

9.1. მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში, ჩვენ უფლებამოსილი ვართ სადაზღვეო შემთხვევა დავარეგულიროთ ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი ფორმით:

- გავცეთ სადაზღვეო ანაზღაურება სადაზღვეო შემთხვევის დარეგულირების აქტზე თქვენ მიერ მატერიალური სახით განხორციელებული პირადი ხელმოწერის საფუძველზე; ან
- გავცეთ სადაზღვეო ანაზღაურება მოსარგებლის მიერ სადაზღვეო შემთხვევის დარეგულირების აქტის ელექტრონული ფორმით დადასტურების საფუძველზე; ან
- გავცეთ სადაზღვეო ანაზღაურება მოსარგებლის მიერ სადაზღვეო ანაზღაურების ოდენობის სატელეფონო საუბრის გზით დადასტურების საფუძველზე.

9.2. ჩვენ უზრუნველვყოფთ ზარალის დარეგულირების პროცესში თქვენთან კომუნიკაციას და სხვადასხვა მომსახურების დისტანციურად გაწევას პრიორიტეტული ტელეფონის ნომრის გამოყენებით.

9.3. ჩვენ უზრუნველვყოფთ ზარალის დარეგულირების პროცესში, ჩვენი უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ თქვენთან გახორციელებული სატელეფონო საუბრის აუდიო ჩანაწერ(ებ)ისა ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებ(ებ)ის შენახვას.



## 10. საერთო გამონაკლისები დაზღვევის ყველა საქსიისთვის

10.1. ჩვენ თავისუფალი ვართ სადაზღვეო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ:

10.1.1. თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია არასწორი, არაზუსტი, არასრული, ყალბი ან შეცდომაში შემყვანია.

10.1.2. თქვენ არ გვაცნობთ სადაზღვეო პერიოდში დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის სასარგებლოდ დატვირთვის, დაყადაღების, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ.

- 10.1.3. დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენებოდა არა პირადი დანიშნულებით.
- 10.1.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება გამოწვეულია ცხოველის, ფრინველის, მღრღნელის მიერ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია ცხოველთან შეჯახებით და ამავდროულად იდენტიფიცირებულია ასეთი ცხოველის ბრალეული მეპატრონე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტაციაში.
- 10.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვადაგადაცილება სადაზღვევო პრემიის გადახდაზე აღემატება 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეს.
- 10.1.6. ზიანი არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და სადაზღვევო შემთხვევამდე.
- 10.1.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილი მძღოლი იმყოფებოდა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ, უფლებამოსილმა მძღოლმა უარი განაცხადა მისი მდგომარეობის დასადგენად საჭირო ტესტ(ებ)ის/სინჯების ჩაბარებაზე ან/და ჩვენთვის არ იქნა მოწოდებული შესაბამისი ფაქტის დადგენის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 10.1.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არაუფლებამოსილი მძღოლი ან მართვის უფლების არმქონე პირი ან პირი, რომელსაც მართვის უფლება დროებით შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული აქვს.
- 10.1.9. ზარალი გამოწვეულია თქვენი ან უფლებამოსილი მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, თვითმკვლევლობით, თვითმკვლევლობის მცდელობით ან/და საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან ზიანის მიყენების მცდელობით.
- 10.1.10. სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოყვა თქვენი, მოსარგებლის ან უფლებამოსილი მძღოლის განზრახ ქმედებას ან ამგვარის მცდელობას.
- 10.1.11. თქვენ, მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გამოიწვიეთ ან შეეცადეთ გამოგეწვიათ სადაზღვევო შემთხვევა.
- 10.1.12. თქვენ, მოსარგებლემ ან უფლებამოსილმა მძღოლმა გააყალბეთ ან შეეცადეთ გააყალბებინათ სადაზღვევო შემთხვევასთან ან სადაზღვევო ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.
- 10.1.13. ზარალი გამოწვეულია მესამე პირ(ებ)ის მიერ ჩადენილი თაღლითობით, გამოძალვით, მითვისებით ან ასეთის მცდელობით.
- 10.1.14. დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზიანება შედეგად მოყვა დაზღვეული ავტოტრანსპორტის როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მათ შორის მისი

ლაფეთით გადაზიდვას, ბუქსირით გადაადგილებას ან მის დატვირთვა/გადმოტვირთვას (არ იგულისხმება ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დაზღვეული ავტოტრანსპორტის გადაადგილებისას დამდგარი ზარალი).

- 10.1.15. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის საჯარიმო სადგომზე გადაყვანით ან საჯარიმო სადგომზე დგომის დროს.
- 10.1.16. დაზღვეული ავტოტრანსპორტი გამოიყენება ავტოდრომზე ან მის გარეთ ნებისმიერი სახის რბოლაში/სისწრაფის გამოცდაში/შეტჯობში (მათ შორის Off Road), ასევე ნებისმიერი სახის ტესტირებისთვის (მათ შორის Test Drive), სამაშველო სამსახურისთვის.
- 10.1.17. დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მგზავრთა რაოდენობა აღემატებოდა დასაშვებ რაოდენობას ან გადაჭარბებული იყო დატვირთვის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი/წონა.
- 10.1.18. სადაზღვევო შემთხვევა დადგა დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.
- 10.1.19. დაზღვეული ავტოტრანსპორტის VIN კოდი/შასის ნომერი არ ემთხვევა დაზიანებული ავტოტრანსპორტის VIN კოდს/შასის ნომერს.
- 10.1.20. ზიანი დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მიადგა აეროდრომის ან აეროპორტის ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც გამოიყენება თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად, გადასაადგილებლად, სადგომად, აეროპორტის მომსახურეობისათვის განკუთვნილ გზად ან აეროპორტში საბაჟო შემოწმებისათვის.
- 10.1.21. ზიანი დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მიადგა სამშენებლო ან/და ისეთ ტერიტორიაზე, რომელზეც ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდულია ან აკრძალულია.
- 10.1.22. ზარალი გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის შეკეთების შედეგად გამოწვეული გაუფასურებით.
- 10.1.23. სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობით.
- 10.1.24. ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც მოხდა საავტომობილო გზის, ეზოს, ავტოფარეხის გარდა სხვა ტერიტორიაზე.
- 10.1.25. ჩვენთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაზიანებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენაზე/სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- 10.1.26. დაზიანდება თქვენს საკუთრებაში, მფლობელობაში ან მინდობილ საკუთრებაში არსებულ ქონება ან თქვენთვის შესანახად, სამეთვალყურეოდ ან სამართავად მიბარებული ქონება.

- 10.1.27. ისეთი ქონების დაზიანება, რომელიც გადაიზიდებოდა დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან მიმაგრებული იყო მასთან ნებისმიერი სახის მისაბმელით.
- 10.1.28. დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა მართვისათვის/ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში.
- 10.1.29. ორმაგი დაზღვევის არსებობის პირობებში, ადგილი ექნება სრული სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მცდელობას.
- 10.1.30. თქვენ ან მოსარგებლე უარს აცხადებთ ჩვენთვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელია თქვენი ან მოსარგებლის ქმედებით.
- 10.1.31. ჩვენი წარმომადგენლის მისვლამდე დაზღვეული ავტოტრანსპორტი გადაადგილებულია ან თქვენ ან უფლებამოსილ მძღოლს მიტოვებული გაქვთ შემთხვევის ადგილი, გარდა ჩვენი ან საკატრულო პოლიციის მიერ გაცემული მითითების საფუძველზე.
- 10.1.32. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების, საგარანტიო შეკეთებისა და გასაღების მოპარვის ან დაკარგვის შემთხვევაში, საკეტების გამოცვლის ხარჯები.
- 10.1.33. ხარჯები, რომელიც აუმჯობესებს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაზღვევამდე არსებულ მდგომარეობას.
- 10.1.34. ზარალი გამოწვეულია ცვეთით, კოროზიით, დაჟანგვით, თანდაყოლილი დეფექტით, დეფექტური მასალების გამოყენებით და სხვა ბუნებრივი თვისებებით.
- 10.1.35. ნებისმიერი ტიპის ადმინისტრაციული თუ სხვა სახის ჯარიმა, მათ შორის საჯარიმო სადგომზე დგომის ხარჯები, მიუღებელი შემოსავლები, მორალური ზიანი, სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების ღირებულება.
- 10.1.36. თქვენ არასაკატიო მიზეზით დაარღვიეთ წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული ვადები (მაგ.: არ არსებობს საბუთის ვადაში წარმოუდგენლობის დასაბუთებული მიზეზი).
- 10.1.37. სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია საომარი მოქმედებით (მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია თუ არა), სამოქალაქო ომით, რევოლუციით, სამხედრო ან უზურპატორული ძალაუფლების გამოყენებით, აჯანყებით, გაფიცვით, სამოქალაქო არეულობით, ტერორისტული აქტით ან მისი მცდელობით.
- 10.1.38. სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია იონიზირებული რადიაციით, რადიოაქტიური დაბინძურებით, ნებისმიერი სახის რადიოაქტიური გამოსხივების მქონე ბირთვული საწვავით ან რადიოაქტიური წვის შედეგად მიღებული ნარჩენებით, გარემოს დაბინძურებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნაერთების ტრანსპორტირებით.

- 10.1.39. ზარალი გამოწვეულია კონფისკაციით, დაპატიმრებით, დაკავებით ან სახელმწიფო ორგანოების დავალების საფუძველზე განხორციელებული ქმედებით.
- 10.1.40. თუ ადგილი აქვს თქვენი, მოსარგებლის, უფლებამოსილი მძღოლის მიერ სადაზღვევო პოლისით ან/და წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას.
- 10.1.41. ზარალი გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომლის განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გვაძლევს უფლებას უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.



## 11. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

- 11.1. დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის საწყისი თარიღის 24:00 სთ-ზე და მოქმედებს მასში მითითებული ვადის ბოლო თარიღის 24:00 საათამდე.
- 11.2. დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად, თქვენ ვალდებული ხართ:
  - დაასურათოთ ავტოტრანსპორტი ჩვენი წარმომადგენლის ან ჩვენ მიერ მითითებული აპლიკაციის მეშვეობით.
  - სრულად და დროულად გადაიხადოთ სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პირველი ტრანში, სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.
- 11.3. ზემოთ აღნიშნული წინაპირობების თქვენ მიერ შესრულებამდე, ჩვენ თავისუფალი ვართ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.



## 12. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და გადაუხდალობით გამოწვეული შედეგები

- 12.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 12.2. თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ტრანშის გადახდა არ მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თვის შემდეგი კალენდარული თვის პირველ რიცხვამდე, ჩვენ მოვახდენთ ჩვენ შორის დადებულ დაზღვევის ხელშეკრულების ანულირებას საწყისი თარიღით, თქვენთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

**მაგალითი**

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 14 მაისს. თუ პირველი ტრანშის გადახდა არ მოხდა 1 ივნისამდე, დაზღვევის ხელშეკრულება ანულირდება 14 მაისის თარიღით.

12.3. სადაზღვევო პრემიის მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (იგულისხმება სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა) თქვენ დამატებით გაქვთ ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად. ამასთან, თუ სადაზღვევო პრემია არ იქნება გადახდილი ამ 14 (თოთხმეტი) დღიან პერიოდში, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ დამდგარი ზარალები არ ანაზღაურდება, ხოლო სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე), ჩვენ მიერ ცალმხრივად შეწყდება დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისი.

**მაგალითი**

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 14 მაისს და თქვენ ყოველთვიურად იხდით პრემიას გრაფიკის მიხედვით. მიმდინარე ტრანშის გადახდის თარიღია 14 აგვისტო.

სცენარი 1: ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა 20 აგვისტოს და მიმდინარე ტრანშში გადახდილი არ არის. ვინაიდან 14 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით თქვენ გაქვთ 14 დღიანი საშელავათო პერიოდი და ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა საშელავათო პერიოდის განმავლობაში, ჩვენ ავანაზღაურებთ ზარალს.

სცენარი 2: ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა 28 აგვისტოს და მიმდინარე ტრანშში გადახდილი არ არის. ვინაიდან 14 დღიანი საშელავათო პერიოდი დასრულდა 27 აგვისტოს და ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა საშელავათო პერიოდის დასრულების შემდეგ, ზარალი არ ანაზღაურდება.



**13. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში**

- 13.1. სადაზღვევო პრემიის გადახდაზე 30 (ოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით ჩვენ მიერ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ, სრულად გადაიხადოთ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია.
- 13.2. თქვენ მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო, გამომუშავებული პრემიის 10%-ის ოდენობით.

**მაგალითი**

დაზღვევის ხელშეკრულება გაფორმდა 1 იანვარს, 1 წლის ვადით და გაუქმდა 265 დღის თავზე. წლიური პრემია შეადგენს 730 ლარს, ხოლო გადახდილი პრემია 500 ლარს.



გამომუშავებული პრემია გამოითვლება შემდეგი ფორმულით: წლიური პრემია / დაზღვევის ხელშეკრულების ხანგრძლივობა დღეებში x დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პერიოდი დღეებში =  $730 / 365 \times 265 = 2 \times 265 = 530$  ლარი. გამომუშავებული პრემია წარმოადგენს სხვაობას წლიურ და გამომუშავებულ პრემიებს შორის =  $730 - 530 = 200$  ლარი.

თქვენ მიერ გადასახდელი პრემია:  $(530 - 500) + 200 \times 10\% = 30 + 20 = 50$  ლარი.

- 13.3. თქვენ მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება სხვა ავტოტრანსპორტის დაზღვევის მიზნით და ამ ახალი ავტოტრანსპორტის დაზღვევა მოხდება გაუქმებისთანავე 1 (ერთი) წლიანი დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, გამომუშავებული პრემიის 10%-ის დარიცხვა არ მოხდება, თუმცა თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია.
- 13.4. თქვენ მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ჩვენ მიერ მოხდა მიმდინარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, თქვენ ვალდებული ხართ სრულად გადაიხადოთ სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ჯამური სადაზღვევო პრემია, ჩვენ მიერ ანაზღაურებული თანხის ოდენობისა და დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში ყოფნის პერიოდის მიუხედავად.
- 13.5. თუ დაზღვევის ხელშეკრულება წყდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება/განადგურების მიზეზით, ჩვენ მიერ ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.

**!** **14. დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი**

- 14.1. **დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:**
  - 14.1.1. თქვენი ინიციატივით, ნებისმიერ დროს, ჩვენთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე წერილობითი მოთხოვნის მოწოდებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
  - 14.1.2. ჩვენი ინიციატივით, ნებისმიერ დროს, თქვენთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე თქვენთვის შეტყობინების გამოგზავნის გზით.
  - 14.1.3. ჩვენი ინიციატივით, თქვენთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ:
    - ჩვენ მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები



სრულადაა შესრულებული / ამოწურულია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი.

- დაზღვეული ავტოტრანსპორტი აღარ არსებობს და ეს გამომწვეული სადაზღვევო რისკისგან განსხვავებული, ნებისმიერი სხვა მიზეზით.
- სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული გადახდის გრაფიკის ვადაგადაცილება აჭარბებს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

## 14.2. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:

- 14.2.1. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას.
- 14.2.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის გასხვისებისას, თუ სხვაგვარად არ შეთანხმდა ჩვენთან.
- 14.2.3. ჩვენ მიერ ჩვენი საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში.
- 14.2.4. ჩვენ შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 14.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.



## 15. რეგრესი/სუბროგაცია

- 15. 1. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, გაცემული ანაზღაურების ფარგლებში ზიანზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიმართ მოთხოვნის უფლება გადმოდის ჩვენზე.
- 15. 2. თქვენ/მოსარგებლე ვალდებული ხართ გადმოგვცეთ ყველა ის დოკუმენტი და ინფორმაცია, რაც აუცილებელია ჩვენ მიერ ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის მიმართ მოთხოვნის წაყენებისა და ამ უფლების აღსრულებისთვის.
- 15. 3. თქვენ/მოსარგებლე ვალდებული ხართ, თქვენი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეგვიწყოთ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მოგვცეთ უფლება, თქვენი სახელით წარვმართოთ და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების სრული პროცესი.
- 15. 4. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ/მოსარგებლე უარს იტყვით ჩვენზე ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირ(ებ)ის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადმოცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება თქვენი/ მოსარგებლის ქმედებით, ჩვენ ვთავისუფლდებით სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო თუ სადაზღვევო ანაზღაურება ჩვენ მიერ უკვე გადახდილია, წარმოგვეშვება გადახდილი ანაზღაურების უკან მოთხოვნის უფლება.



## 16. ორმაგი დაზღვევა

- 16.1. თქვენ/მოსარგებლე ვალდებული ხართ წერილობით შეგვატყობინოთ სხვა სადაზღვევო კომპანიებთან იგივე სადაზღვევო დაფარვებით გაფორმებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.
- 16.2. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, ჩვენი მონაწილეობა დამდგარ ზარალში განისაზღვრება ჯამურ ვალდებულებაში ჩვენი წილის პროპორციულად.

## 17. შეტყობინება და კომუნიკაცია

- 17.1. წინამდებარე დაზღვევის მიზნებისთვის, თქვენთან კომუნიკაციის საშუალებად (მათ შორის ზარალ(ებ)ის დარეგულირების პროცესში) გამოყენებული იქნება პრიორიტეტული მისამართი/პრიორიტეტული ტელეფონის ნომერი.
- 17.2. ჩვენ მიერ პრიორიტეტულ მისამართზე გამოგზავნილი წერილი ან პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერზე გამოგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება ჩვენ მიერ გაკეთებულ, ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად.
- 17.3. შეტყობინების პრიორიტეტულ ტელეფონის ნომერზე გამოგზავნის შემთხვევაში, ჩვენ მიერ შეტყობინების გამოგზავნის დღე ჩაითვლება თქვენ მიერ შეტყობინების მიღების დღედ.
- 17.4. ჩვენ მიერ პრიორიტეტულ მისამართზე გამოგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება თქვენ მიერ მიღებულად, განურჩევლად იმისა იმყოფებით თუ არა ამ მისამართზე ან თუ რამდენად სწორად ან ზუსტად იყო მოწოდებული ჩვენთვის მისამართის დეტალები.

## 18. დავათა გადაწყვეტა

- 18.1. წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით ჩვენ შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

## 19. კონფიდენციალობა

- 19.1. ჩვენ მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირ(ებ)ისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 20. პერსონალური მონაცემების დამუშავება

- 20.1. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დავამუშაოთ: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) ჩვენი ინტერესების დაცვის მიზნით, გ) ჩვენ მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით და დ) ზარალის დარეგულირების მიზნებით. აღნიშნული მიზნებისათვის, ჩვენ ასევე უფლებამოსილი ვართ ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, გამოვითხოვოთ თქვენი/მოსარგებლის ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.
- 20.2. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, დავამუშაოთ ჩვენთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოგვთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის ჩვენ მიერ გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - ჩვენთვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მომართვის გზით.
- 20.3. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევ(ებ)ის მიზნით დავამუშაოთ, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ თქვენი/მოსარგებლის ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემები.
- 20.4. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, თქვენთან სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია (მოქმედების ვადა, სტატუსი, სადაზღვევო პრემია და სხვა) დავამუშაოთ, მათ შორის ხელმისაწვდომი გავხადოთ ჩვენი აგენტ(ებ)ისათვის ან/და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, რომელსაც/რომლებსაც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის და ჩვენ მიერ შესაბამისი

სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებისათვის.

- 20.5. სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით, თქვენ გვანიჭებთ უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ჩვენს ხელთ არსებული თქვენი/მოსარგებლის ან/და სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ნებისმიერი უფლებამოსილი მძღოლის პერსონალური მონაცემების შემცველი სრული ინფორმაცია, ასევე სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო შემთხვევაში მონაწილე ყველა პირის შესახებ ინფორმაცია, დადგენილი წესით მივაწოდოთ შპს „სადაზღვევო-საინფორმაციო ბიურო“-ს (საიდენტ. კოდი 204558433).